ჩვენი გზა

№ 21
თფილისი
1907
შაბათი, 29 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 21 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 21

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებითა აცხდებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

ეკატერინე იაგორის ასული, ვარვარა, ნინა და დათიკო კარაპეტოვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი შვილისას და მეორე ძმის

გიორგი ალექსანდრეს ძე კარაპეტოვისას.

ცხედარს სურ-კარაპეტის ტაძარში პანაშვიდის გადახდის შემდეგ წაასვენებენ ხოჯევანქის სასაფლაოზე კვირას, 30 სექტემბერს. პანაშვიდს დღესაც გადიხდიან, საღამოს 6 საათზე, პასკევის ქ., № 3.

დარეჯან სოლომონის ასული სოხიაშვილისა, ივანე, გრიგოლი, ალექსანდრე, ვლადიმერი, ალექსანდრა და სოფიო დავითის ძენი და ასულნი სოხიაშვილები; ეფემია ივანეს ასული საგინაშვილისა; ეკატერინე სიმონის ასული უზნაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი ძვირფას მეუღლის, მეორენი საყვარელ და დაუვიწყარის მამის, მესამე დაუვიწყარ ძმის და მეოთხე დაუვიწყარ სიძის

დავით ივანეს ძის სოხიაშვილისას.

და სთხოვენ მობრძანდენ დაკრძალვაზე კვირას, 30 სექტემბერს, დილის 9 ნახევარ საათზე, ავჭალის ქ. სახლი № 95, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავათ. პანაშვიდი შაბათს. 29 სექტემბერს, ნაშუადღევს 5 საათზე. (2—ფ.—1)

შაბათს, 6 ოკტომბერს,

თფილისში გამოვა ახალი ყოველკვირეული იუმორისტული-კარიკატურებიანი ჟურნალი

„ეკალი“

ჟურნალში მოთავსებული იქნება სურათები და მოკლე ბიოგრაფიები გამოჩენილ მწერალთა, მოღვაწეთა და თავისუფლებისათვის თავდადებულთა. ლექსები და პოემები, სახუმარო და სერიოზული. მოთხრობები და სურათები ახლო წარსულიდან და სხვა....

ხელის მოწერა და აგრეთვე დასაბეჭდი მასალა მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Редакція „Экали“ ПЛАТОНУ ГЕДЕВАНОВИЧУ ГАЧЕЧИЛАДЗЕ

თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი გონორარი.

ჟურნალი დაიბეჭდება „სორაპნის“ სტამბაში.

29 სექტემბერს

ტრამვაის მუსიკალურ საზოგადოებისაგან წარმოდგენილი იქნება რენესანის თეატრში

ქართულად

1. **დ ა-ძ მ ა**
ვ. გუნიასი
2. რუსულათ, ძვირფასი კოცნა
(Дорогой поцѣлуй)
3. **იმღერებს ფილარმონიული საზოგადოების ერთი წევრისაგან მომზადებული ხორო**

და 4. გაიმართება ადგილობრივი და ევროპიული ცეკვა თამაში.

დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე გამგე ტრამვაის დირექტორი ფრიდმანი.

ექიმი

ივ. გომართელი

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავათმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ნაფიცი ვექილის

თანაშემწე

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.

(10—5)

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლეს საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

გამოცდილი

რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს. ადრესი: **„ჩვენი გზის“** რედაქცია.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე იოსების ძე **კაჩუხოვი.**

გადავიდა ვერის დაღმართზე (Верійскій спускъ) სახლი № 11. 10—8

კვირას, 30 სექტემბერს „შურდული“-ს მაგივრათ გამოვა, იუმორისტული ჟურნალი

„ეშმაკის მათრახი“

(2—2)

ისყიდება

ახალი მოდის ტანისამოსის **შკაფი** და კაკლის **ბუფეტის შკაფი.**

აქვე მიიღება შესაკვეთათ ყოველნაირი **სასტალიარო საქმეები.**

ადრესი: Лабораторный пер., № 2, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის ზემოთ.

სახელოსნოს პატრონი
(5—6.—1) გ. ედილაშვილი.

კიდევ „ისარის“ საპასუხოთ.

„ისარი“ არა სცხრება. ის განაგრძობს თავის პოლემიკურ ფანდებს და მკითხველი საზოგადოება რომ შეცდომაში შეიყვანოს, ამისთვის არ ერიდება არც ფაქტების გადამახინჯებას

ჩვენ ვამბობდით, რომ ფედერალისტები დემაგოგობას ეწევიან ს.-დემოკრატების წინააღმდეგ, წერენ და ლაპარაკობენ თითქოს სოც.-დემოკ. უარყოფდენ ეროვნებას, ენას, ეროვნულ კულტურას და სხვ. არაო, გვეუბნება ახლა „ისარი“. „ჩვენ ვამტკიცებდით, რომ **ქართველი** (კურსივი „ისარიისა“) სოც.-დემოკრატია სრულებითაც არ არსებობს. ჩვენ ვწერდით, რომ არის რუსთა, პოლონელთა, ებრაელთა, ლატიშთა, გერმანელთა და სხვა ერთა სოც.-დემოკრატია, მარა ქართველ სოც.-დემოკრატებს ვერ ვხედავთ“. აი, ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა ჩვენს კამათშიო, დასძენს გაზეთი.

კეთილი და პატიოსანი! მარა ნება მოგვეცით გკითხოთ: არ ამტკიცებდით თქვენ გარდა ამისა სხვა რაქმეს კიდევ? სახელდობრ იმას, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით? ამის დასამტკიცებლათ ჩვენ შორს არ წავალთ. ავიღოთ თუ გინდ ის გარემოება, რომ აურ-ზაური ასტეხეს „ისარის“ პუბლიცისტებმა და კომპ. ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო. აი რას სწერდენ მაშინ ისინი (იხ. „ისარი“ № 192), „დიდია ეს მსხვერპლი (ლაპარაკია ილიას მოკვლაზე), მარა ვაი თუ ამანაც ვერ მოგვიტანა სარგებლობა (?), ვაი თუ ეხლაც არ მოვიდენ გონს „ხალხის ხელმძღვანელნი“, რომლებიც ფანატიკური სიბრმავით **ამსგებენ და უარყოფენ მთელ ჩვენ ეროვნულ ცხოვრებას** და სხვ. იგევე გაზეთი (იხ. № 179), აღნიშნავდა რა მოკლეთ ჰერვეს და ბებელის კამათის შინაარსს ომის დროს სოც.-დემოკრატების ტაქტიკის შესახებ შტუტგარტის კონგრესზე, სადაც ბებელი ამტკიცებდა, რომ „კულტურული ცხოვრება ხალხისა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ სამშობლო ენისა და ნაციონალურ ცხოვრების ნიადაგზე“, იგი თავმომწონეთ დასძენდა: მეტი არ იქნება ჩვენებური სოც.-დემოკრატები კარგათ ჩაუკვირდებოდენ ბებელის და სხვათა სიტყვებსო. აქაც ცხადია, რის თქმა უნდოდა გაზეთს, ბებელი სამშობლო ენას იცავს, ჩვენი სოც. დემოკრატები კი უარყოფენ მას და კარგია რომ ბებელიდან მაგალითს აიღებდენო. აი ამ გარემოებაზე უთითებდით ჩვენ წინა წერილში და ვამბობდით, რომ ეს ჩვეულებრივი ფანდია ბურჟუაზიული პუბლიცისტების თქო. ამას ეხლა „ისარი“ გვერდს უვლის და სხვა საკითხზე გადახტის. მტყუანს კარებამდე მიუყევიო ნათქვამია და ჩვენც განვიხილოთ „ისარის“ „საბუთები“. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთი ურცხვათ სტყუის, როცა ამტკიცებს: ჩვენ ვხედავთ რუსთა სოც.-დემოკრატებს და არ ვხედავთ ქართველებსო. წინადადებას ვაძლევთ „ისარს“ დაგვიმტკიცოს, სად არსებობს რუსთა სოც.-დემოკრატია? ნუ თუ **რუსეთის** სოციალდემოკრატია, რომელშიაც შედიან სხვა და სხვა ეროვნების სოც.-დემოკრატები, და **რუსთა** სოციალდემოკრატია ერთი და იგივეა? სიტყვა „Российская“ რომ არ ნიშნავს სიტყვას „რუსთა“, ნუ თუ ეს „ისარმა“ არ იცის? და თუ იცის რათ ატყუებს მკითხველ საზოგადოებას? აგრეთვე არსებობს პოლონეთის და ლიტვის სოც.-დემ., რაიც სრულებითაც არ მოასწავებს პოლონელთა ს.-დემ.-ას. ნუ თუ გაზეთმა არ იცის რა ნიადაგზე შეუერთდა პოლონეთისა და ლიტვის სოც.-დემოკრატია, რუსეთის (და არა რუსთა) სოციალდემოკრატიას? გარდა ამისა, რატომ გონია გაზეთ „ისარს“, რომ მარტო ქართველ ს.-დემოკრატებს არა აქვთ თავისი საკუთარი ნაციონალური პარტია, სხვები კი ყველანი ნაციონალურ ორგანიზაციებათ არიან მოწყობილი? მაგალითათ, ამერიკაში არსებობენ ნემცები, ინგლისელები, ფრანგები, მარა მიუხედავათ ამისა ს.-დემოკრატ. იქ ერთი საერთო პარტია აქვთ, ერთ ორგანიზაციაში მუშაობენ. როგორც ზევით ვთქვით, არც რუსების და არც პოლონელების სოც.-დემოკრატებს აქვს თავისი საკუთარი პარტია. ისინი, ისე როგორც ქართველი სოც.-დემოკრატები, შედიან ერთ საერთო პარტიაში, რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ასეთია „ისარი“-ს პირველი საბუთი, რომელსაც, მისი სიტყვით, „არსებითი მნიშვნელობა ქონებია ჩვენს კამათში“.

წინა წერილში ჩვენ მოგვყავდა ჩვენი ნაციონალური პროგრამის მუხლები. „ისარი“, რასაკვირველია, ამით არ დაკმაყოფილებულა და გაიძახის: „ჩვენ გეკითხებით გვიჩვენოთ: რა შინაარსით აავსეთ ეს უსულო ფორმულა, ეს ჩონჩხი“. გამოდის, რომ პროგრამა უსულო ფორმულა და ჩონჩხი ყოფილა, რომ ერთა თანასწორობის, სამშობლო ენაზე ლაპარაკისა და სწავლა-განათლების მიღებისა და თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა არაფერს არ მოასწავებს.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ არ ვთხოულობთ ფედერალისტებსავით საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას, იმ პირობებში, რომლებშიაც დღეს ქართველი ერი ცხოვრობს, ის ჩვენ მავნეთ მიგვაჩნია. მთელი საქმე ამ პირობებშია, თორემ ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს ფედერალისტებისთვის, რომ ჩვენთვის ავტონომიის საკითხი პრინციპიალური საკითხი არ არის. ჩვენი პრინციპი, სახელმძღვანელო იდეა კლასთა ბრძოლაა. ჩვენ ყოველთვის კლასთა ბრძოლის ინტერესებიდან გამოვდივართ. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ფორმაში უნდა გამოიხატოს ერთა თავისუფლება, ვწყვეტთ დროისა და გარემოების მიხედვით. ჩვენ ჩვენა პრინციპი გვავალებს დავიცვათ ერთა თავისუფლება და თანასწორობა, მარა ავტონომია შეიძლება მოვითხოვოთ ერთ პირობებში და უარვყოთ მეორე პირობებში. „ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობა რა უებარი საშუალებაა ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტათ? —სწერს „ისარი“—ამას ბურჟუაზიული ლიბერალებიც ხომ არ უარყოფენ? რას უარყოფენ და რას არა ბურჟუაზიული ლიბერალები, ამაზე ლაპარაკი ჩვენ ეხლა არ გვსურს, მხოლოდ „ისარი“ რომ არ გაკადნიერდეს თავისი ავტონომიით, მოვაგონებთ, რომ კადეტები, მაგ. (იგივე ბურჟუაზიული ლიბერალები) თხოულობენ პოლონეთის ავტონომიას. ცხადია, ბურჟუაზიულ ლიბერალებს შეუძლიათ არა თუ საოლქო თვითმართველობის მოთხოვნა, მათ შეუძლიათ აგრეთვე ავტონომის მოთხოვნაც.

„ისარისთვის“ ჩვენი ერის განახლების გზაზე დადგომა ჯერ კიდევ საეჭვოა. „ჯერ ეგ განახლება და წინსვლა არ სჩანს საკმაოთ მკაფიოთ“—სწერს გაზეთი. გუშინ ის სრულებით არ სცნობდა ამ განახლებას, დღეს კი საეჭვოთ მიაჩნია. მას განახლებათ არ მიაჩნია ის დიადი ბრძოლა, რომელსაც ეწევა ჩვენში პროლეტარიატი და გლეხკაცობა. ჩვენი ბურჟუაზიული პუბლიცისტებისათვის ეს სრულიადაც არ მოასწავებს განახლებას. რატომ? ალბათ კიდევ იმიტომ, რომ სწორეთ ამ ჩვენი ერის მებრძოლმა და პროგრესიულმა ნაწილმა უარყო „ისარის“ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

ორიოდე სიტყვა კიდევ „ისარის“ პოლიტიკურ ფილოსოფიაზე. რევოლიუციონერების აზრით სათათბიროში წასვლა ჩხირკედელობაა, გაიძახის გაზეთი. „დღევანდელს პირობებში ბურჟუაზიულ დემოკრატ-ას უფრო ნაყოფიერათ შეუძლია რეაქციას ებრძოლოს სათათბიროში, როგორც სოციალისტებისა და რევოლიუციონერების ბრძოლა უფრო ნაყოფიერი და დიდმნიშვნელოვანია სათათბიროს გარეთ“. გაზეთი ადასტურებს პეტრე სტრუვეს აზრს, რომელიც ამბობდა, რომ მემარცხენეებს ადგილი არ უნდა ქონდეთ სათათბიროში, ისინი იქ საქმეს წაახდენენ, ვინემ გააკეთებენ, ამიტომ დუმის ასპარეზი კადეტებს უნდა დაუთმონო. ჩვენი „სოციალისტები“ გაზეთ „ისარიდან“ ეთანხმებიან სტრუვეს და ეუბნებიან ხალხს: შენ ქუჩაში ღვარე სისხლი, დუმაში კი კადეტები წავიდენ, რადგან იქ ისინი შენზე უკეთ გაპოდგებიან. ხალხს და კერძოთ პროლეტარიატს ბურჟუაზია ყოველთვის უყურებდა როგორც „საზარბაზნე ხორცს“ და „ისარიც“ ამ შემთხვევაში არ ღალატობს თავის გონებას.

ჩვენ ვამბობდით: სათათბიროში მივდივართ იმიტომ, რომ ფარდა ავხადოთ მთავრობის განზრახვებს, გამოვააშკარაოთ ბურჟუაზიული პარტიების ორჭოფობა. ამაზე „ისარი“ გვიპასუხებს: მთავრობის განზრახვანი კარგათ ვიცით და ბურჟუაზიული ორჭოფობაცო. თქვენ რაც იცით და რაც არა, ეს თქვენი წერილიდანაც კარგათ სჩანს, მარა ჩვენ გვქონდა ლაპარაკი ხალხის ფართე მასსაზე. „ისარი“ თუ ფიქრობს, რომ ამ მასსამ ყველაფერი კარგათ იცის, მაშინ რით ახსნის ის იმ გარემოებას, რომ ხალხი ისევ გმინავს რეაქციის მძიმე უღელს ქვეშ. რატომ ეს ხალხი არ ადგება და იერიშს არ მიიტანს მასზე? მარა ვინ არ იცის, გარდა „ისარის“ პუბლიცისტებისა, რომ დღევანდელი რეაქციის ბატონობის მიზეზი, ეს ხალხის პოლიტიკური შეუგნებლობა და შეუკავშირებლობაა. ჩვენ მივდივართ დუმაში იმიტომ, რომ ამ მიზეზის მოსპობას ხელი შეუწყოთ. მარა „ისარი“ აქ შემოგვძახებს: „აკი წინა წერილში ბრძანებდით, რომ სათათბიროში იმისთვის მივდივართ, რომ მიწა და თავისუფლება უნდა მოვუპოვოთ მშრომელ ხალხსო“? მოიცათ, ბატონებო! ამას ჩვენ არსად არ ვამბობდით, არსად არ გვითქვამს, რომ ჩვენი დეპუტატები ხალხს მიწას და თავისუფლებას მოუპოვებენო. წინადადებას გაძლევთ დაამტკიცოთ ეს, და თუ ვერ დაამტკიცებთ, ცილის მწამებლისა და სიყალბის ჩამდენის სახელი დაგერქმევათ. ჩვენ არსად არ გვითქვამს აგრეთვე, რომ ჩვენი კაცები თუ წავიდა დუმაში, ისინი უსათუოთ შესძლებენ არ დაამტკიცონ მთავრობის ბიუჯეტი, მოუსპონ მას სალდათების გაყვანის საშუალება და სხვა. ჩვენ კადეტებზე და მათ ორჭოფულ პოლიტიკაზე გვქონდა ლაპარაკი. ვწერდით, საჭიროა ამ ორჭოფობის გამოაშკარავება, რომ ხალხმა ნათლათ დაინახოს, ვინ არიან

კადეტები და სხვ. „ისარმა“ კი გადააბრუნა ეს და მის მიერ მოგონილი სისულელე ჩვენ მოგვახვია თავზე.

ალბათ ასეთი საქციელი „ისარის“ პუბლიცისტებს ლიტერატურულ პოლემიკათ მიაჩნიათ?

პოლიტიკური მიმოხილვა

როგორი წყობილება არსებობს რუსეთში?

როგორი სახელმწიფო წყობილება არსებობს დღეს რუსეთის იმპერიაში? ვინც ამას გამოიცნობს, „ბიჭიც ის იქნება და ქუდიც იმას ეხურება“. ეს საინტერესო გამოცანა დღეს გამოსაცნობი აქვს არა მარტო ყოველ უბრალო მომაკვდავს, ყოველ მოქალაქეს რუსეთის იმპერიისას, არამედ ამ გამოცანის ახსნაზე დღეს თავს იმტვრევენ თვით ის „წარჩინებულნი პირნიც“-კი, რომლებიც სათავეში უდგანან რუსეთის სახელმწიფოს. ეს არც გასაკვირალია: მართალია სახელმწიფოს სათავეში მდგომ და მისი ჩარხის მატრიალებელ პირთ ყველაზე ნაკლებათ ეპატიებათ იმის უცოდინარობა, თუ როგორ სახელმწიფო წყობილებას იცავენ ისინი, თუ როგორი სახ. წყობილების ჩარხს ატრიალებენ, მაგრამ სწორეთ მით უფრო ადვილი გასაგებია ჩვენთვის მათი თავის მტვრევა აღნიშნულ გამოცანის ასახსნელათ: ამ გამოცანის გამოუცნობლობა ყველაზე უფრო ხომ სწორეთ მათ, „წარჩინებულ პირთ“, აყენებს მეტათ უხერხულ მდგომარეობაში. მართლაც და, ვთქვათ რომელსამე ჯგუფს მოქალაქეებისას რუსეთში სურს დააარსოს რაიმე კონსტიტუციონური დაწესებულება, მაგალითათ — კონსტიტუციონური პარტია. ნება უნდა მიეცეს თუ არა მათ ასეთი სურვილის ასრულებაზე? ამ კითხვის გადასაწყვეტათ, რაღა თქმა უნდა, მე და შენ არ მოგვმართავენ, მკითხველო, რადგან ეს ჯერჯერობით ჩვენს კომპეტენციას არ შეადგენს. ამ კითხვის გადაწყვეტა დამოკიდებულია სწორეთ იმ პირებზე, რომლებიც სახელმწიფოს ჩარხს ატრიალებენ. სწორეთ ასეთი შემთხვევა იყო ამ დღეებში: მუსულმანთა ჯგუფმა მთავრობას დასამტკიცებლათ წარუდგინა წესდება, რომლის ძალითაც უნდა დაარსდეს მუსულმანთა პარტია, რომელსაც მიზნათ ექნება რუსეთში **კონსტიტუციონურ მონარქიის დაწესება.** ამ კითხვამ ერთი ჩოჩქოლი და აურ-ზაური ასტეხა ბიუროკრატების ბუნაგში, სახელდობრ იმ „პრისუტსტვიეში“, რომელიც ასეთ კითხვებს განიხილავს. ერთნი ამბობენ—ასეთი პარტია კანონის წინააღმდეგია, რადგან რუსეთში მეფის შეუზღუდველი თვითმპყრობელობა არსებობს და ხსენებულ პარტიას კი მიზნათ აქვს ამ თვითმპყრობელობის კონსტიტუციით შეზღუდვაო. მეორენი ამტკიცებენ—17 ოქტომბრის მანიფესტის და ძირითად კანონების ძალით მეფის თვითმპყრობელობა უკვე შეზღუდულია და, მაშასადამე, შეიძლება ნებადართულ იქნას ეს პარტიაც, რომელიც კონსტიტუციონურ, ე. ი. შეზღუდულ მონარქიას იცავსო. პირველი აზრის ყველაზე მედგარი დამცველია პეტერბურგის გრადონაჩალნიკი, მეორე აზრის დამცველთა შორის არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელე; ორივე ეს პირი ერთ და იმავე სამინისტროს (შინაგან საქმეთა) ჩინოვნიკები არიან. ეს კიდევ ცოტაა. პეტერბურგის გრადონაჩალნიკის შეხედულება აღნიშნულ საგანზე ეწინააღმდეგება პეტერბურგისავე წინანდელ გრადონაჩალნიკების შეხედულებას: თვით ფონ-დერ-ლაუნიცმა (ახლანდელ გრადონაჩალნიკის წინამოადგილემ) დაამტკიცა მშვიდობიან განახლების პარტიის წესდება, რომელიც აგრეთვე კონსტიტუციონურ მონარქიის მომხრეა. ის კი არა და, თვით კადეტთა პარტიის წესდებასაც კი, რომელიც არ დაამტკიცეს მხოლოდ საშუალებათა აღუნიშვნელობის გამო, არავითარი ეჭვი არ აღუძრავს ბიუროკრატებში პარტიისათვის იმ მიზნის დასახვით, რომ მან უნდა დაიცვას კონსტიტუციონური მონარქია. იმ დროს, პირ-იქით, შეუზღუდველ მონარქიის აღდგენას რაცხდენ არსებულ სახელმწიფო წყობილების დამხობათ. მაგრამ როგორც მოგეხსენებათ, ყველა ამ შემთხვევის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 17 ოქტომბრის მანიფესტი და თვით ძირითადი კანონებიც კი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა დაწერილი, ცხოვრებაში კი ფაქტიურათ თანდათან აღდგენილ იქნა სრული თვითმპყრობელობა. ანუ უკეთ, სახელმწიფო წეს-წყობილებაში და მართვა-გამგეობაში გამეფდა ნამდვილი ანარქია, არეულობა, და აი, სწორეთ ამან აურია დავთარი ჩვენს ბიუროკრატებსაც, რომლებმაც დღეს აღარ იციან, როგორ სახელმწიფო წესწყობილებას ემსახურებიან: შეუზღუდველ თვითმპყრობელობას, თუ კონსტიტუციონურ მონარქიას და ასე იქნება მანამ, ვიდრე დღევანდელი მესაკუთრენი—ბიუროკრატები უდგანან სათავეში სახელმწიფოს. ასეთი მდგომარეობა კი ყოვლად შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს: ასეთ მდგომარეობას არა თუ ხალხი ვერ აიტანს დიდ ხნობამდე, მას ვეღარ გაუძლებს თვით ბიუროკრატიაც კი.

პეტერბურგის გრადონაჩალნიკი და საარჩევნო კანონები.

იგივე პეტერბურგის გრადონაჩალნიკი, რომელიც დაჟინებით ამტკიცებს რუსეთში მეფის შეუზღუდველი თვითმპყრობელობა არსებობსო, დაჟინებითვე ნებას არა რთავს კადეტებს საარჩევნო კრების გამართვაზე. კრების გამართვას უკრძალავს იგი კერძო პირებსაც.

ეს შესანიშნავი ბიუროკრატი თავისი ასეთი საქციელის ასახსნელათ აცხადებს, რომ მას შეუძლია საარჩევნო კრების გასამართათ ნება მისცეს მხოლოდ კანონით ნებადართულ პარტიებს, ხოლო კერძო პირებს კი იმიტომ უკრძალავს კრების გამართვას, რომ კერძო პირების სახელ-ქვეშ იმალება რომელიმე ნებადაურთველი პარტიაო.

დავეთანხმოთ გრადონაჩალნიკს, რომ ის **კანონს ასრულებს** და ამიტომ მხოლოდ ნებადართულ პარტიებს აძლევს კრების გამართვის ნებას, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ის ამ შემთხვევაში ქაღალდზე დაწერილ კანონს ასე გულმოდგინეთ ასრულებს, მაშინ, როდესაც მას არა სწამს, ფეხ-ქვეშ თელავს იმავე ქაღალდზე დაწერილ კანონს იმ შემთხვევაში, როცა საქმე შეეხება კონსტიტუციონურ პარტიის დამტკიცებას, რაზედაც ნებას იძლევა თვით უმაღლესი კანონი—17 ოქტ. მანიფესტი. ნუ თუ ის კანონი, რომლის ძალითაც პეტ. გრადონაჩალნიკი კრების გამართვის ნებას იძლევა, სულ სხვაა და თვით „უმაღლეს კანონზედაც“ კი უაღრესია,—იმდენათ უაღრესი, რომ მისი ასრულება უეჭველათ სავალდებულოა, მაშინ, როდესაც უმაღლეს კანონს ადვილათ გადააბიჯებ?! მკითხველი თვითონაც მიხვდება, რომ ეს უმაღლესზე უაღრესი და უეჭველათ სავალდებულო კანონი გახლავთ თვით გრადონაჩალნიკის ნებათასურვილი, მისი თვითნებობა.

იგივე თვითნებობა მოქმედებს, კანონის ნაცვლათ, მაშინაც, როცა პეტ. გრადონაჩალნიკი კრების გამართვის ნებას არ აძლევს კერძო პირებს. საკმარისია მან მცირეოდენი ეჭვი შეიტანოს „კერძო პირზე“, და ისიც უკრძალავს მას კრების გამართვას.

კანონის მაგივრათ საკუთარი თვითნებობის წინ წამოყენება არ შეადგენს მარტო პეტ. გრადონაჩალნიკის ნიშანდობლივ ნაკლს; ეს საერთო ბუნებრივი თვისებაა მთელი ბიუროკრატიის, რომელიც მხოლოდ თავის ქეიფზე ატრიალებს მთელი სახელმწიფოს ბედის ჩარხს.

ახალი ამბები

ვიბორშჩიკების არჩევა მუშათა კურიიდან. გუშინ 28 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება მუშათა კურიის რწმუნებულებისა, თფილისიდან და თფილისის გუბერნიის მაზრებიდან ორი „ვიბორშჩიკის“ ასარჩევათ. სულ კრებას უნდა დასწრებოდენ 28 რწმუნებული, დაესწრო კრებას მხოლოდ 18. კრებას თავმჯდომარეობდა ქალ. თავი ბ. ჩერქეზიშვილი. წინასწარ კერძო თათბირზე აღნიშნულ იქნა ოთხი კანდიდატი, რომელთაგან ორმა მოიხსნა თავისი კანდიდატურა. კენჭი უყარეს ორს: ვასილ შევჩენკოს და იროდიონ თხილაძეს, ორივე ერთხმათ იქნენ არჩეულნი. თითონ პირველი სლესარია ალფერდის ქარხნის მუშა ბორჩალოს მაზრაში, მეორე თფილისელი ასოთ-ამწყობი მუშა ხაჩატუროვის სტამბისა, ორივე ს.-დემოკრატები არიან.

◆ გუშინ-წინ, 27 სექტემბერს მოხდა არჩევნები რვა „ვიბორშჩიკისა“ თფილისში, ვინ არის არჩეული ჯერ ეს გამოურკვეველია, ვინაიდან 28 სექტემბერს დილიდან საღამომდის კენჭების გადათვლას მოუნდნენ. შედეგებს ვაცნობებთ მკითხველებს 30 სექტემბერს.

◆ როგორც ლეჩხუმიდან გვატყობინებენ, თავად-აზნაურებს „ვიბორშჩიკებათ“ აურჩევიათ თავ. იასონ გელოვანი და ოთარ დადეშქელიანი; გლეხებს აურჩევიათ გლეხი გიგო ხეცურიანი. პირველი ორი მონარქისტია, უკანასკნელი—სოც.-დემოკრატი.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ, 26 სექტემბერს მომხდარა კრება გლეხთა კურიის რწმუნებულებისა „ვიბორშჩიკების“ ასარჩევათ. კრებას დასწრებია 41 კაცი. თავმჯდომარეობდა თუმანოვი. ერთხმათ აურჩევიათ „ვიბორშჩიკებათ“ მეჯვრისხევის საზოგადოებიდან ნიკო მექავაბიშვილი და როკის საზოგადოებიდან პეტრე ჯატიაშვილი (ოსი). ორივე მემარცხენეები არიან.

◆ **უწყებების ჩაუბარებლობა.** როგორც გამოირკვა, დიდი რიცხვი უწყებებისა პოლიციას არ ჩაუბარებია საერთო კურიის ამომრჩევლებისათვის. პირველ საარჩევნო განყოფილებაში აღმოჩნდა ჩაუბარებელი უწყება პაკეტებითურთ 3,000-ზე მეტი; მეორე განყოფილებაში 2500 ცალი, ხოლო მესამე განყოფილებაში—3000 ცალი.

◆ **მომავალი კონფერენცია.** როგორც გადმოგვცეს, ახლო მომავალში მოხდება მთელი კავკასიის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირების კონფერენცია. სხვა კითხვებთა შორის კონფერენცია განიხილავს კითხვას მათივე პროფესიის უმუშევრათ დარჩენილ მუშების შესახებ.

◆ **მებაღეების თვითნებობა.** როგორც გადმოგვცეს, დამოკიდებულება თფილისის მებაღეებსა და მათ მუშებს შორის ძლიერ გამწვავებულა. მებაღეები თურმე არ ანებებენ იმ უფლებას და არ უსრულებენ მოთხოვნებს, რომლებიც მუშებს წელს ზაფხულში მოუპოვებიათ.

◆ **ლექცია.** დღეს, 29 სექტემბერს პუშკინის სამკითხველოში ი. აბულაძე წაიკითხავს ლექციას რუსულ ლიტერატურულ თემაზე: „მიზეზები საერო პოეზიის აღორძინებისა შოთა რუსთაველის ხანაში“.

◆ **ი. აბულაძის ლექციები უმაღლეს კურსებზე.** ი. აბულაძემ წაიკითხა ორი ლექცია, ერთი წარსულ კვირას, მეორე 26 სექტემბერს. ორივე ლექცია შეეხებოდა ქართულ გრამატიკას, ფონეტიკას და ეთიმოლოგიას. პირველ ლექციაში ლექტორმა აღნიშნა ქართული ლიტერატურის თანდათანობითი განვითარება; უჩვენა უმთავრესი შრომა, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე საზღვარგარეთ მწერლობისა ქართული გრამატიკის შესახებ. მან აღიარა, რომ დაწვრილებით განმარტება ქართული ენის გამოკვლევა გამოძიებისა ძნელი არას, ვინაიდან სახელმძღვანელოები არ არის. იმან სთქვა, რომ დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. მარრს ამ საქმეშიო.

მეორე ლექცია შეეხებოდა ფონეტიკის უმთავრეს წესებს, უჩვენა ურთიერთა

ჯამუში

სამ მოქმედებიანი დრამა

გიორგი დიდებულიძე მდიდარი მეფაბრიკე 56 წლის.
მაკრინე—მისი ცოლი 50 წლის.
ლევანი—23 წლის
ლიზა—20 წლის
ამათი შვილები.
ზაქარია—გიორგის ძმა 34 წლის
სვიმონი—მეფაბრიკე—მაკრინეს ნათესავი 36 წ.
სპირიდონი—ფაბრიკის დირექტორი 45 წლის.
ვახტანგი—ფაბრიკის ექიმი 32 წლის.
სონა—ამისი ცოლი 26 წლის.
პეპელა—ამათი ქალი 6 წლის
ლასა
ანდრია
ილიკო
ახალგაზრდა მუშები.
პავლე—ინჟენერი.
უბნის ზედამხედველი, პოლიციელები, მოსამსახურე, მუშები და ფერშალი.

მოქმედება პირველი

(სცენა წარმოადგენს მდიდრულათ მორთულ ზალას, ცალ კუთხეში სარკე კედლის, კაჩალაა, მაგიდაზე ალბომია, ფანჯარიდან მთვარის სინათლე შემოდის. სავარძელში მაგიდასთან მაკრინე ზის და პასიანსს შლის. შორი-ახლოს ლიზა წიგნს კითხულობს)

მაკრინე. რა ღმერთი გაუწყრა, არ გამოდის და არა. ეს მესამეთ ჩავუთქვი და მაინც არ გამოვიდა! მოდი და თქვი ახლა ქაღალდი ტყუილიაო, იღბალი არ არისო!

ლიზა. რა ჩაუთქვი, დედა?

მაკრინე. არჩილი ქეთევანს შეირთავს თუ არა?

ლიზა. ერთი შენც, დედაჩემო, მოგცლია.

მაკრინე. მოცლილი შენ ხარ, რომ დილიდან საღამომდე წიგნებს ჩასჩერებიხარ და თვალებს იწყალებ. თუ ჩვენ დროში მაგდენს არ კითხულობდენ იმიტომაც არაფერი იცოდენ!

ლიზა. მეც მიტომ ჩავჩერებივარ წიგნებს, რომ არაფერი ვიცი და მინდა გავიგო რამე.

მაკრინე. (ქაღალდს შლის და ისე) რატომ, სწავლა კაია შვილო, მაგრამ ნამეტანი არაფერი არ ვარგა. დავით თავბეროვის ვაჟმა ისწავლა, ისწავლა და ბოლოს რევოლვერი იკრა შიგ გულში. ი მამაცხონებულს, თუ ასე უნდოდა, ბარემ ადრე მოეკლა თავი,—ამდენი ხარჯი მაინც აღარ დაეკარგებოდა მის პატრონს. გრიგოლ გურგენოვის ვაჟმა ევროპა და ამერიკა სულ მოიარა, ასე ამბობენ, ერთი ვაგონი მარტო წიგნები ჩამოიტანაო და მერე რა? გადირია და ახლა საგიჟეთში ჭკუას ასწავლიან! არა, მე თუ მკითხავ ბევრი კითხვა ადამიანს ჭკუას კი არ უმატებს, უფრო ულაყებს გონებას.

ლიზა. მაშ ამდენი წიგნები, დედა ჩემო, შენის აზრით მიტომ იწერება, რომ მკითხველს გონება გაულაყოს!

მაკრინე. რისთვის იწერება, მე არ ვიცი და არც ვკითხულობ მარა ეს კი ვიცი, რომ შიგ ბევრი სისულელე სწერია, ხალხიც მიტომ გადირია, მოსწავლე მასწავლებელს აღარ ემორჩილება, შვილი დედ-მამას, მოსამსახურე ბატონს, უნცროსი უფროსს, ხალხი ხელმწიფეს და ყველა გაიძახის: თანასწორობაო! მა რა არის თუ არ სისულელე? როგორ? მე და ჩემი ზღმურდლიანი გოგო თანასწორები ვართ? ამისთანა სისულელე სულ მაგ წიგნებში სწერია.

ლიზა. მე რამდენათაც ვიცი, დედაჩემო, ჩვენ გლეხთა წოდებიდან ვართ და ჩვენი ლაქია კი აზნაურია, მაშ თქვენის კანონით რომ ვილაპარაკოთ, ის ჩვენზე უფროსი უნდა იყოს.

მაკრინე. ეე, ჩემო შვილო, აზნაურობა და თავადობა წავიდა (ჯიბეზე ხელს ირტყამს) ახლა ფულია ბატონი, და უფროსიც ის არის, ვისაც ფული აქვს (სიჩუმე ჩამოვარდება, მაკრინე პასიანსს განაგრძობს, ლიზა კითხულობს. რამდენიმე ხნის შემდეგ თავისთვის). თუნდა ხატზე დავიფიცებ, რომ არჩილი ქეთევანს არ შეირთავს.

ლიზა. რას ჩააცივდი, დედაჩემო ამ ქეთევანსა და არჩილს?

მაკრინე. იმას ჩავაცივდი, რომ ისინი შესაფერისი არ არიან, ღმერთმა კი დასწყევლოს ე ჩვენი ქალაქი, სულ ჭორის ბუდეა, არა, საიდან გამოიგონეს, არჩილი ქეთევანს ირთამსო?

ლიზა. მერე შენ რა ასე გაინტერესებს, ვინ ვის ირთავს?

მაკრინე. არჩილის საქმე დიახაც მაინტერესებს, იმისთანა საცოლო ამ ქალაქში არ არის, ჭკვიანი, დარბაისელი, ზრდილობიანი, ნასწავლი, ლამაზი, ისე ზრდილობიანათ იცის თავის დაკვრა და ხელზე კოცნა, რომ ძალაუნებურათ მიგიზიდავს. პირველი დღიდანვე თვალში ჩამივარდა (ღიმილით ლიზას გადახედავს, ლიზა კითხვას განაგრძობს), არა, ქეთევანისთანა ღარიბ ქალს ის არ შეირთამს, რა მისი შესაფერია! უროკებით ირჩენს თავს. თავის წონა ფულს მივცემ და ვიშონი, ქალი არ ვყოფილვარ, თუ ლოგინში არ ჩავიგორე (გადიხარხარებს) მაშ!

ლიზა. (უკმაყოფილოთ) რათ იცი დედაჩემო მაგისთანა ლაპარაკი? რამდენჯერ მითხოვია შენთვის.

მაკრინე შვილო! ქალი რომ ჰასაკში მოვა, უნდა გათხოვდეს. ჩვენი შეძლების პატრონს რომ ქალი სახლში დაუმჟავდეს, სადღა გამოვყოთ სირცხვილით თავი?

ლიზა. იქნება არ მინდა გათხოვება, რას ჩამციებიხარ?

მაკრინე. რა შვილს არ უნდა! მე რომ მნიშნავდენ, სულ ტლინკებს ვისროდი, გულში კი მიხაროდა. ქალები ამისანა კუდიანები ვართ.

ლიზა. რაც უნდა იყოს, ჩემი გათხოვება ჩემი საქმეა და არა სხვისი.

მაკრინე. როგორ? მე შენთვის განა სხვა ვარ?

ლიზა. მე ეგ არ მითქვამს, მე იმას ვამბობ, რომ ჩემი გათხოვება მხოლოთ ჩემი საქმეა, გათხოვება მე არ მიმაჩნია აუცილებელ რამეთ. თუ ვინმე შემიყვარდა და შევუყვარდი მასაც, გავთხოვდები, თუ არა და არა.

მაკრინე. თუ არა და ჩააბერდები წიგნებს არა? ღმერთმა ნუ შემასწროს შვილო მაგ დღეს! რას ამბობ! მთელი სიცოცხლე იმას მევეხარებოდი, სიძესა და შვილი-შვილს მოვესწრები-მეთქი და აგრე მინდა ახლა, რომ შენს ჭკუაზე ვიარო ჩემხელა ქალმა! არა შვილო! შენ მე მომენდევ და არაფერს წააგებ, შენი ბედი ბარე ორს არ ეღირსება, შენ არ იცი, შვილო, რამდენი ცდილობს ჩვენს სიძეობას. მამაშენის ოჯახს ბევრი, ძალიან ბევრი შეინატრის.

ლიზა. დედაჩემო, რათ იცი, ეს თავის ქება? სხვაგან რომ წამოგცდეს სადმე, მარტო საცინათ აგიგდებენ.

მაკრინე. ღმერთმა შეაჩვენოს, ვისი საცინათ ასაგდებიც ჩვენ ვიყოთ. ყველას ვიყიდით და გავყიდით. მარტო ჩვენი ცხენების და კარეტის ფასი მთელ ქალაქში არაფერია.

ლიზა. ახლა ისიც იკითხე, რითია ეს ყველა შეძენილი.

მაკრინე. მე გეტყვი ქურდობითა და ავკაცობით. შრომით, მხოლოდ პატიოსანი შრომით და ბედის ვარსკვლავით მოგვცა ყველაფერი ღმერთმა.

ლიზა. შრომით, შრომით დედაჩემო, მარა ვისი შრომით?

მაკრინე. ხა, ხა, ხა, ხა! რავა ვისი შრომით? ვინც იძენს, შრომითაც ის შრომობს, ესეც საკითხავია? მაგ ხელა წიგნებში თუ ესეც აღარ სწერია, აბა რაღა ჯანდაბა სწერია შიგ?

ლიზა. სწერია დედაჩემო, მაგრამ ისე კი არა, როგორც შენა გგონია.

მაკრინე. ერთი შენს გარდას წამიკითხე ბა როგორ სწერია?

ლიზა. მე არ ვხუმრობ, დედა ჩემო, მართალს გეუბნები. რაც უფრო ვუკვირდები ცხოვრებას, მით უფრო საძაგლის სახით მეჩვენება ყოველისფერი, ხანდახან სარკეში ჩახედვისა მეშინია, ვაი თუ ჩემი თავი სხვა სახით მეჩვენოს მეთქი, რაც ვიცოდი, რაც მრწამდა, ყოველისფერში ეჭვი შემეპარა. ვგრძნობ რომ ფეხქვეშ ნიადაგი მეცლება; რა მემართება, რა მომდის არ ვიცი, არა (ხელებზე დაეყრდნობა, განზე გაიხედავს და ფიქრობს).

მაკრინე. მეც არ გეხუმრები. იქნება მე ვცდები, აბა ერთი გამაგებიე, რა სიმართლე სწერია შენს წიგნებში.

ლიზა. (გადაშლის წიგნს) შენ ამბობ, დედა ჩემო, სიმდიდრეს ის იძენს, ვინც შრომობსო; მეც ისე მეგონა, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ პატიოსანი შრომით ხშირათ შეიძლება ადამიანმა სიმდიდრე მოიხვეჭოს; მე მრწამდა, რომ ჩვენი მდიდრული ცხოვრებაც ნაყოფი იყო პატიოსანი შრომისა, მაგრამ, ყური დამიგდე: (კითხულობს): კაპიტალისტური წარმოება ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელიც ნაყოფია ზედმეტი შრომისა, კაპიტალისტური სიმდიდრის წყარო ეს ზედმეტი ღირებულებაა. ზედმეტი ღირებულებიდან იბადებიან ის მილიონები, რომლებიც კაპიტალისტების ჯიბეში იყრის თავს.

მაკრინე (წაილაპარაკებს). არაფერი არ მეყურება.

ლიზა (განაგრძობს). მერე ვინ ქმნის ამ ზედმეტ ღირებულებას, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვისი შრომით კეთდება ეს ზედმეტი ღირებულება? მუშა ხალხის, პროლეტარიატის შრომით. მუშა ოფლსა ღვრის, კაპიტალისტი კი მის ნაშრომს ისაკუთრებს, მისი ოფლით სუქდება. მუშები მთელი ქვეყნის სიმდიდრეს სჭედავენ, კაპიტალისტები კი მათ ყვლეფავენ ლიუტერისა არ იყოს, პატარა ქურდები ციხეებში ლპებიან, ეს დიდი ავაზაკები კი ოქრო-ვერცხლში დადიან და აბრეშუმში დაშრიალობენ. მაგრამ დაჰკრავს უკანასკნელი საათი კაპიტალისტური საკუთრებისა და პროლეტარიატი ბოლოს მოუღებს კაპიტალისტებს და მათს ცარცვა-ყვლეფას.

მაკრინე. ერთი ეს მითხარი თუ ღმერ-

დამოკიდებულება, შეერთება ხმოვან და უხმო ასოებისა.

◆ **ლექცია.** დღეს, 29 სექტემბერს ვაჟების მეორე გიმნაზიაში ექიმი ა. ი. ხატისოვი დაიწყებს ლექციების კითხვას „ანატომია-ფიზიოლოგიაზე“ საღ. 7—8 ს.

◆ **მკვლელობა**. გორიდან გვატყობინებენ, რომ 25 სექტემბერს მოუკლავთ ვ. წერეთელი. კერძო ინტერესით საქმე ასე ყოფილა: წერეთელი სოფლიდან გორში დაბრუნებულა როდესაც ხიდზე გაუვლია ამ დროს თავს დასხმიან ბოროტგამზრახველნი და მოუკლავთ.

— იქიდანვე იწერებ-ან: ამას წინეთ ვიღაც კვალიაშვილს მოუკლავს ერთი მეეტლე, რომელიც კვალიაშვილს თურმე მთელი დღე და ღამ ეტლით ასეირნებდა. კვალიაშვილი შეუპყრიათ, როდესაც იგი ციხეში მიუყვანიათ ტუსაღებს ისე უცემიათ, რომ კვალიაშვილი საავათმყოფოში წაუყვანიათ.

◆ **თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი:** სომხის წმ. გიორგის ეკლესიის სახლის გამგე მოედნის შესახვევში სედრაკ ავეტოვი, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის საადრესო სტოლის შესახებ, დაჯარიმებულ იქნა 25 მან. სახლის პატრონი ბელინსკის ქუჩაზე სოლომონ ჯავიაშვილი მასზე დადებული ჯარიმის გადაუხდელობის გამო საადრესო სტოლის შესახებ დაპატიმრებულ იქნა 1 თვით ციხეში. თფ. მაზრის სოფ. ჩხიკვეტას მცხოვრები ივანე ოძელაშვილი სხვა და სხვა იარაღის შენახვისათვის ნება დაურთველათ დაპატიმრებულ იქნა ციხეში ჯდომით 3 თვით. კოჩუბეევის ქუჩაზე მცხოვრები გოტლიბ მაიერი სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ დაჯარიმებულ იქნა 50 მან. თელავის მაზრის სოფ. კურდღელაურის მცხოვრები გიორგი ბაკურაძე და და თფილ. მცხოვრები მიხ. დიმიტრაშვილს, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირთ, აეკრძალათ თფილისში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე. სახლის პატრონი ბაიაზეთის ქუჩაზე № 4. კონ. ნოლიშევსკი. სავალდებულო წესების დადგენილებისათვის საადრესო სტოლის შესახებ დაჯარიმებულ იქნა 25 მანეთით.—თელავის მაზრის სოფ. გულგულის მცხოვრები ბოროტგამზრახველების შენახვისათვის დაჯარიმებულ იქნენ 2 მან. თითო კომლი.—სახლის პატრონი გლდანის ტუპიკზე ბაბა აივაზოვი ანტისანიტარულათ ეზოს შენახვისათვის დაჯარიმებულ იქნა 30 მ ნ.

◆ 27 სექტემბერს ღამის 11 ს. პუშკინის ქუჩაზე № 21 სალომე სურგუნოვის სახლში შესულან 8 შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი, სურგუნოვისათვის რაღაც დაურტყამთ—გაუტაცნიათ ორი ბილეთი, სხვადასხვა ნივთები ღირებული 900 მან. და მიმალულან.

◆ 27 სექ. ღამე პოლიციამ გაჩხრიკა სახლი ვლადიმირ მიხაილოვის, ალექსანდრე კარაგაჩევის და კარაპეტოვისა აღმოუჩენიათ არალეგარული ლიტერატურა და მიწერ მოწერის ბარათები.

◆ 27 სექ. დღისით თფილ. სამხედრო საავათმყოფოში მელიქოვის ბაღიდან ნავთლუღში მოუყვანიათ სასიკვდილოთ დაჭრილი ქუთაისის მაზრის მცხოვრები ზაქარა მენაძე, ცოტა ხნის შემდეგ მენაძე გარდაცვლილა.

◆ 27 სექ. დღის 12 ს. მადათოვის ქუჩაზე რკინის გზის გამყვანელთა გამგეობაში უცბათ გარდაიცვალა მწერალი ვლადიმირ დუდუჩი.

◆ 27 სექ. დილის 12 ს. მიხაილოვის ქუჩაზე № 47 ეკიბაბალის ფურნეში შესულან ორი უცნობი ბოროტ-გამზრახველი, მუქარით გაუტაცნიათ კასიდან 6 მ. და მიმალულან.

რუსეთის პრესა

კითხვა და პასუხი

ოფიციოზური გაზ. „როსია“, როგორც იცით, ხშირათ ირწმუნება, რომ მთავრობის მთელი ფიქრი და ზრახვა, მთელი საქმიანობა მიმართულია „სამშობლოს განახლებისკენ“. ამ დღეებში, სხვათა შორის, გაზ. „ტოვარიშჩი“ ღირსეულათ დასცინოდა ოფიციოზის ლათაიებს და ამტკიცებდა, რომ მთავრობისგან „სამშობლოს განახლება“ ნამდვილათ ნიშნავს ძველი რეჟიმის აღდგენასო. „როსია“ კვლავ უბრუნდება საკითხს და ასე იცავს მთავრობის პოზიციას:

> „გვეკითხებიან: სად არის „17 ოქტომბრის მანიფესტის დაპირებათა რეალიზაცია (განხორციელება)?“ სად არის საარჩევნო კანონის გაფართოება? სად არის „გარანტია ასე კატეგორიულათ გამოთქმული რუსეთის Habeas Corpus-ის მე-87-ე მუხლში!?“ (ე. ი. რომ ვერც ერთი კანონი ვერ შევა ძალაში თუ იგი მიღებულ არ იქნება სახ. დუმისა და საბჭოსაგან).
>
> ვუპასუხებთ... „რეალიზაცია“, რაზედაც ლაპარაკობენ განმათავისუფლებელნი, და „გარანტიები“, რაიც მათ ეხატებათ ცხლა რაღაც სანეტარო ოცნებათ არსებობენ ამ საათშიაც. მაგრამ თუ განმათავისუფლებელნი ყველა ამას ვერ აფასებენ და ამ რეალიზაციებს“ და ამ „გარანტიებს“ უკავშირებენ რევოლიუციონურ იდეას, თუ იგინი განუწყვეტლივ და გაჯიუტებულათ ითხოვენ მეტსა და მეტსა, ითხოვენ და სინამდვილის არავითარ პირობებს არ დაგიდევენ, ითხოვენ აშკარათ გამოთქმულ რევოლიუციონურ მისწრაფებათა სახელით, აი, სწორეთ ეს გახლდათ და შემდეგშიაც ეს იქნება ძირითადი მიზეზი იმისა, რისთვისაც განმათავისუფლებელთ უცბათ დაებადათ ყველა ეს და ამ გვარი საკითხები. სწორეთ ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ ეხლა საარჩევნო უფლების რაიმე გაფართოებაზე ლაპარაკი სრულიად შეუძლებელია“.

უკვდავი შჩედრინი!.. ნეტავ წამოახედა საფლავიდან და გაიგონა ოფიციოზის ზემოხსენებული ტირადა. რას იფიქრებდა გენიოსი სატირიკოს, რომ დღესაც მეოთხედ საკუნის შემდეგ ზედ გამოჭრილი იქნებოდა რუსეთის სინამდვილეზე იმისი „ტაინი სოვეტნიკის“ სიტყვები: „თქვენ, რუსის ქვეშევრდომები, მეტისმეტათ ჯიუტნი ხართ თქვენი მიზნების განხორციელებაში—ეს არის თქვენი უმთავრესი სატკივარი. ცხოვრება ითხოვს დათმობას, თქვენ კი გინდათ რეფორმები და რეფორმები. ასე მოკლე დროში და ამოდენა პროგრესი!—რომელი ორგანიზმი აიტანდა ამას! თქვენ კი არამც თუ იტანთ, არამედ კიდეც ამბობთ: ცოტა! უკვე მოგეცათ სიტყვის თავისუფლება, მარა თქვენ მაინც ვერაფერი დაგანახვეს, თქვენ მაინც მუდამა სჩივით: ნეტა როდის მოგვცემენ სიტყვის თავისუფლებას? არა, mon cher monsieur (ძვირფასო ბატონო) ასე არ შეიძლება! ცხენს ოთხი ფეხი აქვს და მაინც კიდევ ბორძიკობს ხოლმე. ადამიანი კი... ადამიანი კი, cher monsieur, (ძვირფასო ბატონო) აი როგორ უნდა გეჭიროს ხელში, რომ არ წაბორძიკდეს!..“ (ამას რომ ამბობდა იგი იმაგრებიჭიფხებოდა, აჩვენებდა, როგორ უნდა ადამიანის დაჭერა: ცალი ხელით სჭიმავდა ვითომ „ვოჟებს“ (სადავეს), მეორე ხელით იქნევდა „კნუტს“ (შოლტს).

პარტიების ცხოვრებიდან

მეშევიკთა ჯგუფის, მეორე წერილი, რომლიდანაც გუშინ ერთი ადგილი მოვიყვანეთ, დაეგზავნა მენშევიკებს სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის მოახლოვების გამო. ამის თაობაზე წერილში ნათქვამია: „წარსულ სრულიად რუსეთის კონფერენციის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მენშევიკები მეტათ გულ-გრილათ ეკიდებოდენ მას, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ მათი წარმომადგენლობა, მეტათ არა-სრული, სრულიად არ შეეფერებოდა ძალთა ნამდვილ განწყობილებას პარტიის შიგნით. ამან შეაძლებინა ბოლშევიკებს გაეტარებიათ მეტათ უხერხული და თავისთვის მოწინააღმდეგე რეზოლიუცია, რომელიც საფუძვლათ დაედო საარჩევნო პლატფორმას. ეს უკანასკნელი, როგორც თქვენ იცით, ძლიერ ძირს უთხრის პარტიის პრესტიჟს. პარტიის ინტერესი მოითხოვს ჩვენგან, მენშევიკებისაგან,—ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ პარტიას თავიდან ავაშოროთ ასეთი სახელის გამტეხი ნაბიჯები. ამისათვის აუცილებლათ საჭიროა უცხოველესი მონაწილეობა მივიღოთ ყოველგვარ საერთო პარტიულ დაწესებულებში, განსაკუთრებით ისეთ ავტორიტეტულ ორგანოში, როგორიცაა საერთო პარტიული კონფერენცია“.

„სპილკას“ რეზოლიუცია არჩევნების გამო. პოლტავაში მოხდა უკრაინის ს.-დ. პარტიის „სპილკის“ საგუბერნიო თათბირი, რომელზედაც გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) სრული თანხმობით მოეკიდონ ს.-დ. პარტიის წინადადებას საარჩევნო კამპანიაში ცხოველი მონაწილეობის შესახებ; მტკიცე წინადადება მიეცეს მუშებს თავგამოდებით ეცადონ საარჩევნო უფლების განხორციელებას) 2) თუ დამოუკიდებელი გამოსვლა მოუხერხებელი იქნეს, შეთანხმება მოხდეს ყველა რევოლიუციონურ და ოპოზიციონურ პარტიებთან „ვიბორშჩიკთა“ საერთო სიის გასატარებლათ. თუ შეთანხმებაც არ მოხდეს, მაშინ არ იქნენ წამოყენებული საკუთარი კანდიდატები და ხმა მიეცეს პროგრესიულ „ვიბორშჩიკებს“ ვიდრე კადეტებამდე.

ამ დღეებში მოხდა **ლატიშ მასწავლებელთა სოც.-დემ კავშირის** კონფერენცია. კავშირში ამჟამათ ირიცხება 200 მასწავლებელი სოციალდემოკრატი. კონფერენციამ ცნო საჭიროება მასწავლებელთა კავშირებისა. შკოლების ადმინისტრაციის შესახებ კონ-იამ საჭიროთ სცნო პასიური ბოიკოტი, რადგან ეხლანდელ პირობებში აქტიურ ბოიკოტის გაყვანა შეუძლებელიაო. ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ კონფერენციამ საჭიროთ დაინახა მასში მონაწილეობის მიღება.

— ბუნდის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პროფესიონალურმა კომისიამ წერილით მიმართა პროფესიონალურ კავშირებს, რომლითაცატყობინებს მათ, რომ პროფესიონალურ კავშირთა სრულიად რუსეთის სიეზდი მოხდება ახლო მომავალში, რის გამოც საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგენ სამზადისსაო. სიეზდის გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა, როცა ეს გადაწყვეტილება გამოხატავს პროფ. კავშირების ნამდვილ ინტერესებს [illegible] სასტიკათ შეფარდებული იქნება ამ ინტერესებთან.

გურიის ქრონიკა

ბათუმიდან ამოყვანილი სომეხი სასტუმრო „ორიანტალის“ მოსამსახურე ყან ბარყანზიანი, რომელიც დაპატიმრებული იყო მაზრის უფროსის ერმოლოვის მოკვლის განზრახვისათვის, და რომელსაც ბათუმის ადმინისტრაცია უკანვე ითხოვდა, ამბობდენ გაიქცაო. ოთხშაბათს, 19 სექტემბერს, ს. ჯუმათში სომეხი ყან ბარყანზიანი დაჭერილი გაუტარებიათ ინგუშებს და მასთან მძიმე ნაცემი. ცალი თვალი ხანჯლით ქონდა წამხდარი. როდესაც ჯუმათს გასცილებიან ტყეში ატეხილა სროლა. თოფის ხმაზე ხალხი გაქცეულა ტყისაკენ და უნახავთ არხში ჩაგდებული, რამოდენიმე ტყვიით განგმირული ყან ბარყანზიანი, ინგუშები კი აღარ იყვენ მასთან.

— 22 სექტემბერს, ქ. ოზურგეთში დაიჭირეს გ. ჩხატარაიშვილი; დაიჭირეს აგრეთვე ერთი უცნობი, ამავე დღეს რესტორანში დაიჭირეს მდინარაძე. ღამით გაჩხრიკეს შ. ცერცვაძის სახლი. დასაჭერათ დაეძებენ ნ. ცერცვაძეს, მაგრამ დუქანში ვერ იპოვნეს. ამას წინეთ დაიჭირეს სამი მოხუცი, მაზრის უფროსთან სათხოვნელათ მისული. ისააკ კვაჩანტირაძე, რომელიც სამი თვე იყო დაჭერილი, ადმინისტრაციამ ოზურგეთიდან გადაასახლა (ეს კვაჩანტირაძე კუტი კაცია, ორივე ფეხი წამხდარი აქვს და ჯოხებით ძლივს დადის).

— ამ დღეებში ნაგომრის გზაზე გაძარცვეს მგზავრები, წაიღეს 200 მანეთამდე ფული და საქონელი.

— ქალაქ ოზურგეთი ძლიერ შიშშია ჩავარდნილი. ბევრი ვაჭრები დაეთხოვა საქმეს და გავიდა ოზურგეთიდან.

პ—ესი.

საარჩევნო კამპანია.

20 სექტემბერს პეტერბურგში, მოსკოვის ზასტავის გადაღმა, მოხდა მუშათა კრება დუმის არჩევნების მოსალაპარაკებლათ. გამოირკვა, რომ ბოიკოტს ამ რაიონში გასავალი არა აქვს, თუმცა „მუშათა შეთქმულების“ ჯგუფი ბოიკოტს ქადაგებს. გადაწყვიტეს მიიღონ მონაწილეობა მუშათა კურიის არჩევნებში და მოაწყონ საარჩევნო კრებები კანდიდატების დასასახელებლათ რწმუნებულებათ.

თი გწამს, პროლეტარიატი რა ეშმაკია?

ლიზა. პროლეტარიატი იგივე მუშებია.

მაკრინე. მერე ვინ ყვლეფავს ამ მუშებს?

ლიზა. ვინა და კაპიტალისტები.

მაკრინე. თავში ქვა უხლია ერთსაც და მეორესაც: მერე ჩვენ რა?

ლიზა (გაოცებული). როგორ თუ რა, დედა ჩემო? მამა ჩემი კაპიტალისტია. იმის ქარხანაში ორი ათასი მუშა არის. და თუ კაპიტალისტები მუშებს ყვლეფავენ, როგორც ამ წიგნში სწერია, ცხადია, მამა ჩემიც ყვლეფავს თავის მუშებს და ჩვენ...

მაკრინე. ძალიან მიუქარავს, ვინც მაგასა სწერს, ჩვენ ქარხანაში ორი ათასი მარტო მუშაა, ახლა მათი დედ-მამა და ცოლშვილი მიუმატე. გამოდის, რომ ჩვენის წყალობით სულ ცოტა ექვსი ათასი კაცი ლუკმა პურსა სჭამს. ეს არის გაყვლეფა? ისინი კი არა ჩვენ ვიყვლიფებით. მამა შენს დილიდან საღამომდე მოსვენება არა აქვს, სულ ფაბრიკაზე ფიქრობს და რატომ? იმიტომ რომ ეს ფაბრიკა იმდენ მუშა ხალხს პურს აჭმევს. აბა ერთ თვეს დაკეტოს? იმდენი ხალხი შიმშილით დაიხოცება. ქვეყნის საქმეს ლამის თავი გადაუღია. ამიტომ ამოირჩიეს პაჩოტნი გრაჟდანინათ, ახლა კიდევ პაჩოტნი პაპეჩიტლობას თხოვენ, დირექტორები აღარ ეშვებიან.

ლიზა. დედა ჩემო, მთელ ქალაქში ყველაზე უკეთ ვცხოვრობთ, მამა ჩემის ქონება რამოდენიმე მილიონს უდრის. ჩვენ კი წინეთ თურმე ღარიბები ვიყავით, მაშ საიდან გაჩნდა ამდენი ქონება?

მაკრინე. ჭკუამ და სიმარჯვემ გააჩინა, მაშ როგორ გგონია? მამა შენს სხვაზე მეტი ჭკუა ჰქონდა და მოხერხება, ამიტომ სხვაზე მეტიც შეიძინა.

ლიზა. არა, დედა ჩემო არა, ერთი კაცი რაც უნდა ჭკუიანი იყოს და მოხერხებული, მილიონებს ვერ შეიძენს, თუ მართლა სხვები არ გაყვლიფა, თუ სხვებს არ წაგლიჯა. (შემოდის სვიმონი).

სვიმონი. როგორ შორი შორს დამჯდარხართ, თითქოს ერთმანეთს ეუბრებოდით? მგონია რაღაცას ლაპარაკობდით? (ლიზა ხმას არ გასცემს წიგნს ფურცლავს).

მაკრინე. რაც პარიჟში სისულელე დაუწერიათ, ჩემი ვაჟი ყოველისფერს აქეთ გზანის, აქაოდა და ფოშტას ყველაფერი მიაქვსო, და ჩემი ქალიშვილიც მე მიკითხავს, გაუნათლებელი დედ-მამა ხართ და უნდა გაგანათლოთო!

სვიმონი. განათლება არასოდეს არ არის ცუდი (ლიზასთან მივა და წიგნს დახედავს) პროლეტარიატი და სოციალიზმი (გამობრუნდება) უუჰ! რა სიტყვებია! მერე რა ქენი მამიდა ჩემო! როგორ მიდის შენი განათლების საქმე?

მაკრინე. მე ძველ წიგნებზე ვარ განათლებული და, ვინც წამომიყვანა არ მწუნობს. ახალ წიგნებზე ეგენი განათლდენ ახლა.

სვიმონი. მერე იმ ძველ წიგნებში პროლეტარიატი და სოციალიზმი არ ეწერა?

ლიზა. იქ ალბათ მარტო ჩიხითმისა და ბოზბაშის კეთება სწერია, დედა ჩემო! (გაიცინებს).

მაკრინე. უკაცრავათ! საცინათ შენი ცხვირი აიგდე! ძველი—წიგნებიც კაი იყო, ადამიანიც და ჭკუაც. ახლა ადამიანიც დაჩიავდა, წიგნიც გაირყვნა და ჭკუაც ყველას დაეკარგა.

სვიმონი. ხა, ხა, ხა, ხა! შენ ძალიან ოხუნჯობ მამიდა ჩემო! მაგრამ მე მაინც უნდა გამოგცადო, რამდენათ განათლდი. აბა ერთი ამიხსენი, რა არის პროლეტარიატი.

მაკრინე (ღიმილით). აი მაგას ჰკითხე და აგიხსნის. პროლეტარიატი მუშებია, რომლებსაც ჩვენ ვყვლეფავთო! ხა, ხა, ხა, ხა, გესმის? ჩემი ქმარი ექვსი ათას კაცს ლუკმა პურს აჭმევს, ასმევს, ტანსა და ფეხს აცმევს და მაგის ახალ წიგნში კი სწერია: საბრალო მუშებსა ყვლეფავსო! (იცინის).

სვიმონი. ერთი ესეც მითხარი მამიდა ჩემო, სოციალიზმი რაღა არის?

მაკრინე. კისერი იმ სოციალიზმსაც უტეხია და მის მომგონსაც,—არც ერთის ჯავრი არა მაქვს.

სვიმონი. როგორ თუ არა გაქვს? აბა გაიგე რა არის სოციალიზმი და მაშინ აგრე აღარ იტყვი. იცი რა არის მამიდა ჩემო სოციალიზმი? (თან მიჩერებია ლიზას, რომელიც წიგნს კითხულობს) სოციალიზმი იმ პანღურსა ჰქვია, რომელსაც მუშები ერთ მშვენიერ დღეს თავის ალებს ამოჰკრავენ.

მაკრინე. ისემც უქნიათ, ერთმანეთი სულ პანღურით დაუხეთქიათ (ბანქოს შლის ისევ).

სვიმონი. მერე შენ რა გაგითეთრდება?

მაკრინე. რა გამიშავდება.

სვიმონი. ის გაგიშავდება, რომ ასმა მუშამ თუ პანღურები დაგიშინეს, ათ წელიწადს მგონი სკამზე ვეღარ დაჯდეთ.

მაკრინე. შენ მისი ჯავრი ნუ გაქვს, თუ პანღურებზე მიდგა საქმე, ისეთი პანღურები ვიცი რომ...

ლიზა. (გააწყვეტინებს) მოწმეთ ჩვენი გოგო გამოგადგება დედა ჩემო!

მაკრინე. (შეაჩერდება, შემდეგ სვიმონს მიმართავს) ამისანა გინახავს? მოსამსახურეს ნუ გაუწყრებიო? ისეც თავზე გვასხდებიან და, თუ არ გავუწყრით, აბა ბატონები ისინი ყოფილან და ჩვენ კი მოსამსახურეები! ისინი დაბრძანდენ და ჩვენ კი ნაირ-ნაირები მივართვათ, ესღა გვაკლია!

სვიმონი. (ლიზასთან მივა და ბეჭებზე ხელს ურტყამს) ერთი ამის გათხოვებას მომასწარი მამიდაჩემო და აბა მაშინ დავინახავ, როგორ სოციალიზმს განახორციელებს თავის ოჯახში.

ლიზა. მე არ ვამბობ, სოციალიზმს განვახორციელებ მეთქი; მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ სამართალი არ არის ჩვენს ცხოვრებაში; ჩვენ ყველანი ბოროტებაზე ვაშენებთ ჩვენს ცხოვრებას და ეს ბოლომდე ასე არ დარჩება. მონობა მოისპო, ბატონყმობა მოისპო; ბატონყმობა რომ არ მოსპობილიყო, იქნება ჩვენ ახლა ყმები ვყოფილიყავით.

მაკრინე. უკაცრავათ! მამაჩემს ყმები ბევრი ჰყავდა, მარა თვითონ არავისი ყმა არ ყოფილა.

ლიზა. დიდებულიძეები კი დადიანების ყმები იყვნენ!

მაკრინე. ერთი იმათ ჩაფუშულ სახლკარს გადახედე, მერე ჩვენსას და მაშინ ილაპარაკე.

ლიზა. მე სახლკარზე არ ვლაპარაკობ, დედაჩემო! წინეთ ბატონყმობა იყო, მაგრამ მოისპო და ბევრი წინანდელი ყმა დღეს ბატონია, ბევრი წინანდელი ბატონი კი ყმის მდგომარეობაში ჩავარდა, და, უეჭველია, მოვა ისეთი დრო, როცა დღევანდელი ბატონებიც მოისპობიან (ადგება).

მაკრინე. მერე ვინ არიან დღევანდელი ბატონები, ჩვენ, არა?

ლიზა. სხვებთან ერთათ ჩვენც ვართ.

მაკრინე. ამ ჩემ სიცოცხლეში კი ბატონი ვიქნები და მერე ქვა-ქვაზედაც ნუღარ დარჩენილა, ოღონ თქვენ კარგათ მეყოლეთ.

ლიზა. თუ ქვა ქვაზედ აღარ დარჩება, ჩვენ საიდან გეყოლებით კარგათ? (გადის წიგნიანათ).

მაკრინე. ერთი ეს მითხარი, ვინ დაყარა ხმა არჩილი ქეთევანს ირთავსო?

სვიმონი. ასე კი ლაპარაკობენ და რა ვიცი.

მაკრინე. მიჭქარავენ, ვინც მაგას ლაპარაკობს. არჩილი ქეთევანს თავის დღეში არ შეირთავს.

სვიმონი. შენ კი რაღა იცი?

მაკრინე. ალბათ ვიცი, რომ ვლაპარაკობ.

სვიმონი. თუ ჭკუა აქვს, არც უნდა შეირთოს, ქეთევანი რა ქალია? წელიწადში ერთ კაბას ძლივს ჩაიცვამს; არჩილი კი ისეთი საცოლოა, რომ მდიდარ (ამ სიტყვას გააჭიანეურებს) ქალს იშოვნის, მაგრამ, (ხელს ჩაიქნევს და გაბრუნდება) ახლანდელ დროში ვილასა აქვს ჭკუა? (შემოდის ზაქარია დულბინდით).

ზაქარია. რა საუცხოვო სურათია, რა მშვენიერი სურათია! თქვენ კი აქ დამსხდარხართ და ალბათ ჭორებზე ლაპარაკობთ (მიდის ფანჯრისაკენ, აღებს დულბინდს და ცისაკენ იხედება). აბა ერთი შეხედეთ, საკვირველება, საკვირველება! მთელი ღამე რომ ვუყურო, არ მომწყინდება. მზე გადიხარა თუ არა, ბაღიდან არსად წავსულვარ, მთვარის ამოსვლა არ გამომეპაროს მეთქი (გამობრუნდება), შენ სვიმონ, არასოდეს არ დაკვირებიხარ მთვარის ამოსვლას? (სვიმონი თავს აქნევს „არა“-ს ნიშნით) არც თქვენ მაკრინე?

მაკრინე. პატარა რომ ვიყავი, მიყურებია ხოლმე და ახლა კი რაღა დროის ჩემი დულბინდებით მთვარის ყურებაა?

ზაქარია. ეეჰ! ესტეტიურ (ფიქრობს და შემდეგ) აღმაფრენას, ბუნების სიდიადის შეგნებას სრულებით მოკლებული ხართ, როდესაც დულბინდით მისჩერებიხარ, როგორ მოცურავს მთვარე ზევით, მთებს იქიდან, არაფერი სიამოვნება იმას არ შეედრება, ჯერცა გაბრწყინდება, შემდეგ პატარა მოელვარე ხაზი გამოჩნდება მოიმატებს, გაიზარდება, გადიდდება და როდესაც მთელი ბურთი ამოცურდება ეს ისეთი საუცხოვო სურათია, რომ მასთან შედარებით მთელი ჩვენი დედამიწა არარაობაა. მე მაშინ აღარაფერი აღარ მახსოვს, აღარაფერი აღარ მაწუხებს: ადამიანები ჭიანჭველებათ მეჩვენებიან. (იხედება დულბინდში) ერთი უყურეთ, რა მშვენიერებაა! მთვარიდან ჩვენი დედამიწა გაცილებით უფრო დიდი სჩანს, ვიდრე აქედან მთვარე და გაცილებით უფრო ანათებს. ერთი მთვარეზე ამიყვანა ჩემის დულბინდით, იქიდან დამანახა

— ორიოლის გუბერნიის 9 მაზრაში გაუქმებულ იქნა გლეხთა რწმუნებულების არჩევნები 44 ვოლოსტში. დაინიშნება თუ არა ახალი არჩევნები, არავინ იცის.

— კუზნეცკის მაზრის ს. რუსკიკამეშკიზში გლეხთა რწმუნებულების არჩევნების წინ „ზემსკი ნაჩალნიკ“-მა კრებიდან გააძევა მრავალი გლეხი, და ამის მიზეზიც-კი არ დაასახელა. ყველა გაძევებული გლეხები მონაწილეობას იღებდენ ორივე წინანდელ დუმის არჩევნებში. შემდეგ „ზემსკი ნაჩალნიკ“-მა წარმოსთქვა მქუხარე რეჩი „კრამოლნიკების“ წინააღმდეგ და მოიწოდა გლეხები აერჩიათ „დამჯდარი“ და მცოდნე კაცები. მაგრამ გლეხებმა მაინც არ აარჩიეს ისინი, ვიზედაც „ნაჩალნიკი“ ანიშნებდა მათ.

— არხანგელსკში ეპისკოპოზმა თავის სადგომში არჩევნების წინა დღით გამართა სამღვდელოების საარჩევნო კრება. ეპისკოპოზმა კრებას მიმართა „რეჩით“, „ტყავი გაძრო“ პირველ ორ დუმას მათი „კრამოლნიკობისათვის“ და შემდეგ გააცნო დამსწრეთ „რუსის ხალხის კავშირის“ პროგრამა, რომელსაც მთავრობის პროგრამა უწოდა. ახლანდელ არჩევნებში სასულიერო პირებმა ისეთი კაცები უნდა აირჩიონო. თქვა ეპისკოპოზმა, რომლებიც თავიანთ მოქმედებაში უეჭველათ იხელმძღვანელებენ „მართლმადიდებლობის, თვითმპყრობელობის და ხალხოსნობის“ პრინციპითო. ჩვენს ქალაქშიო, განაგრძო ორატორმა—არ გირჩევთ სასულიერო პირები აირჩიოთ —ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისედაც ცოტანი ხართო, და მეორეთ იმიტომ, რომ შეიძლება მოგტყუვდეთ და ისეთი მღვდელი გაგზავნოთ დუმაში, რომ იქ ტიხვინსკივით ჩერჩეტი დაიწყოსო. ასეთი მღვდელი არხანგელსკის სამღვდელოებას შეარცხვენს და თავს მოსჭრის ხელმწიფისა და მთავრობის თვალშიო.

— შრომის ჯგუფს ცნობები მოსდის, რომ გლეხთა ვიბორშჩიკებს შორის ბლომათ იქნებიან შრომის ჯგუფელებიო.

— ბახმუტის მაზრაში საერობო გამგეობამ მიიღო ფურცლები, რომლებშიაც დაყენებულია შემდეგი კითხვები: რომელ პარტიას ეკუთვნიან რწმუნებულები და როგორ უცქერენ მათ სოფლელები. ზოგიერთ ასეთ ფურცლებში ასეთი პასუხია ჩაწერილი: „ეკუთვნის სოც.-რევ. პარტიას, ყველას უყვარს და პატივსცემენ.“

— კურსკის გუბ. შჩიგროვის მაზრაში დაუტუსაღებიათ ყანაში მუშაობის დროს გლეხებისაგან დიდათ პატივცემული გლეხი ერმაკოვი, რომელიც ვიბორშჩიკათ იყო დასახელებული.

— სიმფეროპოლის მაზრის საარჩევნო კომისიამ გააუქმა მეორე დუმის ყოფილ დეპუტატის ტიუტიუნოვის არჩევნები. გლეხებმა განაცხადეს, რომ მათ სხვის არჩევა არა სურთ.

— სარატოვის გუბ. სოფ. ბალანდაში, თუმცა პოლიცია, ღვთის წინაშე, არ აკლებდა ცდას ხალხი არჩევნებზე მიეზიდნა, მაგრამ რის ვაივაგლახით ძლივს 115 გლეხს მოუყარა თავი საღამოს 7 საათამდე (არჩევნები დილის 10 საათისათვის იყო დანიშნული). როცა მამასახლისმა წინადადება მისცა დაასახელეთ კანდიდატები რწმუნებულებათო, გლეხებმა ერთხმათ შესძახეს: არ გვინდა ახლები, ისევ ძველები უნდა ავირჩიოთო, და კიდეც აირჩიეს ეს უკანასკნელები; მათ შორის ყველაზე მეტი ხმა (107) მიიღო მეორე დუმის დეპუტატათ ნამყოფმა კირსანოვმა.

— უფის გუბერნიის ვოლოსტებში გლეხებმა უმეტეს ნაწილათ მემარცხენეები და პროგრესისტები აირჩიეს რწმუნებულებათ.

— მუშათა რწმუნებულების არჩევნების შედეგი ვარშავაში ასეთია: პოლონეთის სოციალისტი 44, სოც.-დემ.—35, ბუნდისტი—2, უპარტიო—3, ნაროდოვეცი—20. არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს 10 ქარხანაში.

— ქ. სამარაში პროფესიონალურ კავშირებს წამოუყენებიათ საკუთარი კანდიდატი.

— პსკოვის ქალაქის პირველ კურიაში „ვიბორშჩიკებათ“ გავიდნენ პროგრესისტები; „მოკავშირენი“ და ოქტომბრისტები გაშავებულ იქნენ.

— გრიაზოვეცკის მაზრაში იჭერენ მოწინავე გლეხებს და მეორე დუმის „ვიბორშჩიკებს“.

— მესამე დუმას ყველაზე უფრო მოსალოდნელ თავმჯდომარეთ რაცხენ დ. შიპოვს (მემარცხენე ოქტომბრისტია). შიპოვი კენჭს იყრის მოსკოვის გუბერნიაში და მის კანდიდატურას მხარს დაუჭერენ კადეტებიც.

— ჩერნიგოვის გუბ. კოზელეცკის მაზრის ვოლოსტებში გლეხებმა უმეტეს ნაწილათ მემარცხენეები აირჩიეს რწმუნებულებათ, რომლებიც თავიანთი სიმპატიით ზოგი ს.-დემოკრატებს ეკუთვნის, ზოგიც ს.-რევოლიუციონერებს, იმის მიხედვით, თუ სად რომელ ამ ორ პარტიათაგანს მეტი უმუშავნია.

— ვარშავაში შემდგარი სოციალისტური ბლოკი, რომელშიაც შედიან პოლონეთის სოც. პარტია, სოც.-დემოკრატია და ბუნდი, დღეს თითქმის უმოქმედოთ არის, თითქო მუშათა კურიაში გამარჯვებით თავისი საქმე დაასრულაო. ამის მიზეზი ის არის, რომ სოც. პარტიებს აკრძალული აქვთ კრებების გამართვა და ისინი იძულებული არიან იმარონ მხოლოდ სხვა პარტიების კრებებზე თავიანთი ორატორები წამოაყენონ. მაგრამ ამ მხრივაც მათ დიდი დაბრკოლება ეღობებათ წინ: ნაციონალურ დემოკრატიის პარტია ყოველ საარჩევნო კრებაზე მემარცხენე ორატორებს ბურთს ჩრის პირში.

რუსეთის ამბები

კრაკოვში დაჭერილ ქალის ამბავი. ამ დღეებში ქ. კრაკოვში (ავსტრიის პოლონეთში), რუსეთის მთავრობის წინადადებით, დაატუსაღეს ლიტვის ერთ-ერთ გუბერნიის მცხოვრები ქალი კრასელსკი—დობრომიცკისა, რომელსაც ბრალდება ვარშავის გენ.-გუბერნატორის სკალონის მოკვლის განზრახვაში უმთავრესი მონაწილეობა. ამ საქმის გარემოება ასე იყო: სკალონის მოკვლა განიზრახა პოლონეთის სოც. პარტიის (პ. პ. ს.) მებრძოლმა ორგანიზაციამ და განზრახვის ასასრულებლათ ასე მოიქცა. ამ ორგანიზაციის ერთმა წევრმა განგებ ოფიცრული ტანისამოსი ჩაიცვა და შეურაცხყოფა მიაყენა პრუსიის ვიცე-კონსულს ვარშავაში. ოფიცრისაგან მიყენებული შეურაცხყოფისათვის დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდა უნდა გამოეწვია გენ.-გუბერნატორის მხრივ. ამის იმედი ქონდა მებრძოლ ორგანიზაციას და რადგან სკალონს ვიცე-კონსულისაკენ ნატოლინის ქუჩაზე უნდა გაეარა, ამიტომ ამ ქუჩაზე წინდაწინვე ბინა დაიქირავა, სადაც დადგენ ის პირნი, რომლებსაც უნდა შეესრულებიათ ორგანიზაციის გადაწყვეტილება. მართლაც, როცა სკალონმა ხსენებულ ბინის ბალკონთან გაიარა ეტლით, მას ესროლეს ორი ყუმბარა, რომელთაგან ერთი არ გასკდა, მეორემ კი მხოლოდ დაარეტიანა სკალონი. დამნაშავენი დაიმალენ და ვერსად აღმოაჩინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი დამნაშავეთაგანი იყო კრასელსკის ქალი, რომელიც გალიციაში დამალულიყო. რუსეთის მთავრობამ მოთხოვა ავსტრიისას მოეძებნა ეს ქალი და გადაეცა რუსეთისათვის. აღმოჩნდა, რომ კრასელსკის ქალი უკვე ავსტრიელ მოქალაქეს დობრომიცკის მითხოვებია ცოლათ და ამნაირათ თვითონაც ავსტრიის მოქალაქე გამხდარა. ბოლოს რუსეთის მთავრობის დაჟინებულ მოთხოვნის გამო ქ-ნი დობრომიცკისა დატუსაღებულ იქნა კრაკოვში. ქალმა დაჭერისთანავე თამამათ აღიარა—სწორეთ მე ვისროლე ყუმბარაო. ქ-ნ დობრომიცკის დატუსაღებამ მთელი კრაკოვი აალაპარაკა. მისი გაცემა, თუნდაც ის ავსტრიის მოქალაქე არ გამხდარიყო, არ შეიძლება, რადგან მას პოლიტიკური დანაშაული ბრალდება, ავსტრიის კონსტიტუციის ძალით კი მხოლოდ „უგვაროვნი“ დამნაშავის გაცემაა სავალდებულო. ადგილობრივი პრესის ერთი ნაწილი ქ. დობრომიცკის დატუსაღებასაც უკანონოთ ცნობს და სოც.-დემოკრ. გაზეთები კატეგორიულათ მოითხოვენ მის განთავისუფლებას.

აჯანყება კუპიანსკის სატუსაღოში. დილის 8 საათზე, როცა ტუსაღთა ერთი ნაწილი ზედამხედველთა თანხლებით სამუშაოზე წავიდა, დანარჩენები თავს დაესხნენ უფროს ზედამხედველს და მოკლეს. შემდეგ ზედიზედ დახოცეს 5 ზედამხედველი. ტუსაღები თავდაპირველათ ცულებით მოქმედებდენ, შემდეგ გატეხეს ცეიხგაუზი და გამოიტანეს იარაღი. მალე სატუსაღოს შემოერტყა პოლიცია და სტრაჟნიკები. ასტყდა ორივე მხრიდან სროლა, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა. ბოლოს სტრაჟნიკები შეიჭრენ სატუსაღოში. რამდენიმე ტუსაღი ჭერზე ავიდა და სატუსაღოს ცეცხლი წაუკიდეს, რომელიც მხოლოდ მეორე დღეს დილით გააქრეს. ბრძოლაში დაიჭრა რამდენიმე სტრაჟნიკი და სამი ტუსაღი. ორი ტუსაღი გზაში მოკლეს მესამე სატუსაღოში გადაყვანის დროს.

მუშათა შორის.

ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადოების ცენტრ. საბჭოს ციმბირიდან ატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ მოხდება ბეჭდვითი საქმის მუშათა ყველა ადგილობრივ კავშირების საოლქო სიეზდი, რომლის მთავარი საგანია—დაარსებულ იქნას ბეჭდვითი საქმის მუშათა საოლქო კავშირი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

27 სექტემბერი

არჩევნები

პეტერბურგი. სააგენტოს ცნობებით 21 გუბერნიაში აირჩიეს 911 ვიბორშჩიკი მიწათმფლობელთა სიეზდისაგან. ამათში 9 რუსთა კავშირის წევრია; 24 ბესარაბიის პარტიისა: 90 ოქტომბრისტი; 6 მირნოობნოვლენცი; 35 კადეტი; 23 ნაციონალ-ავტონომისტი; 2 პოლ. კოლო; 51 ბალტიის კონსტიტუციონალისტი; 56 ნაროდოვეცი; 170 მონარქისტათ წოდებული; 296 მემარჯვნე; 5 უკიდ. მემარჯვნე; 20 ზომიერი; 7 მემარცხნე: 5 პროგრესისტი; 57 უპარტიო და 49 გამოურკვეველი.

26 გუბერნიაში საქალაქო სიეზდებზე აირჩიეს 336 ვიბორშჩიკი. ამათგან, 9 რუსთა კავშირისტი, 37 ოქტომბრისტი; 8 მშვიდობიან განახლების პარტიისა; 79 კადეტი; 1 სოც.-დემ.; 2 ნაროდოვეცი; 12 ბალტიის კონსტიტუციონალისტი; 10 მონარქისტი; 68 მემარჯვნე; 24 ზომიერი; 15 მემარცხნე; 22 პროგრ.; 29 უპარტიო; 10 გამოურკვეველი.

პეტერბურგი. 27 სექტემბრამდე 39 გუბერნიაში აირჩიეს სოფლის რწმუნებულებმა 643 ვიბორშჩიკი. ამათგან 3 რუსთა კავშირელი; 4 ბესარაბიის ცენტრი; 5 ოქტომბრისტი; 29 ნაროდოვეცი; 15 პოლ. ნაციონალისტი; 22 კადეტი; 1 სახ. სოც.; 7 ტრუდოვიკი; 3 ს.-დ.; 3 ს.-რ.; 3 ლატ. რეფ ; 5 ლატ. ნაც.; 8 მუსულმანთა ფრაქ.; 40 მონარქ.; 166 მემარჯვნე; 24 ზომიერი; 79 მემარცხნე; 19 პროგრესისტი; 182 უპარტიო; 20 გამოურკვეველი.

— 27 სექტ. ქალაქთა მეორე კურიის ამრჩევლებმა 15 გუბერნიაში აირჩია 228 ვიბორშჩიკი. ამათგან 4 რუსთა კავშირის წევრი; 4 ოქტომბრისტი; 45 კადეტი; ერთი ტრუდოვიკი; 1 სახ. სოციალისტი; 15 სოც.-დემოკრატი; 53 ნაროდოვეცი; 2 მუსულმანთა ფრაქციის წევრი; 11 მემარჯვნე; 3 ზომიერი; 10 მემარცხნე; 42 პროგრესისტი; 26 უპარტიო.

მუშათა რწმუნებულებმა აირჩიეს 13 გუბერნიაში 37 ვიბორშჩიკი. ამათგან 22 სოც.-დემოკრატი; 5 სოც.-რევოლიუციონერი; 5 მემარცხნე.

უმანი. მეორე დღეა იწვის სახელმწიფო ტყე. დაიწვა უკვე 300 დესიატინა.

კიევი. დასწვეს 60 დესიატინა ახალგაზრდა ტყე იაროშენსკის მამულში.

სტარაია რუსსა. ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს მამასახლისი და სასიკვდილოთ დასჭრეს ის. წაიღეს 100 მანეთი.

ვენდენი. 12 საათზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა დეპსკის სოფლის სასამართლოზე; მოკლეს მამასახლისი და სოფლის მწერალი.

ჩერნიგოვი. სოფ. კრასნოეში დაიწვა 40 მოსახლე.

სევასტოპოლი. თავისი ბინის მახლობლათ მოჰკლეს რევოლვერით მინნაია როტის კაპიტანი დიბინი.

ბრაცლავი. გაძარცვეს ვაჭარი გიტოსი. წაიღეს 20000 მანეთის ღირებულება.

უცხოეთი

ბუდაპეშტი. დღეს გაიმართა დიდებული მანიფესტაცია მუშებისა საყოველთაო არჩევნების შემოსაღებათ. მანიფესტაცია, რომელსაც 60000 მუშა დაესწრო, სახალხო მიტინგით დასრულდა.

ლონდონი. მომავალ კვირას შესდგება კრება გემის პატრონებისა: ანტვერპენიდან, ამსტერდამიდან, კოპენგაგენიდან, გოტტენბურგიდან, გამბურგიდან და როტტერდამიდან. ამათ საკამათო საგანს შეადგენს ის, თუ როგორ გაუმკლავდენ სოციალისტურ პარტიების იერიშს სხვადასხვა პორტებში და აგრეთვე როგორ შეუშალონ ხელი მუშათა საერთაშორისო პროფესიონალური კავშირის დაარსებას.

ბუდაპეშტი. მრავალ-რიცხოვანი მუშათა დეპუტაცია მივიდა პალატის პრეზიდენტთან და გადასცა მემორანდუმი საყოველთაო არჩევნების შესახებ. დეპუტაციის წევრმა გარბეიმ განაცხადა, რომ პალატა ჯეროვნად არ თანაუგრძნობს სოციალურ გაჭირვებას მუშებისას, რომ ერთი წლის განმავლობაში მთავრობამ დახურა 354 პროფესიონალური კავშირი და სხ.

პალატის თავმჯდომარემ უპასუხა გარბეის და განაცხადა, რომ მთავრობა თითონ ცდილობს დიდებული საქმე საყოველთაო არჩევნების შესახებ ახლო მომავალში დააგვირგვინოს.

დედამიწის ამოსვლა და მერე თუნდა მთელი დედამიწა მტვრათ აქცია. (გამობრუნდება) სვიმონ, წამოდი ბაღში, მე დაგანახვებ მაგ წერტილებს მთვარეზე, თვითეული წერტილი მთელი სივრცეა.

სვიმონი. არა ჩემო ძმაო, ეგ სიამოვნება სავსებით შენთვის დამითმია.

ზაქარია. შენ ხომ არ იცი სად არის იუპიტერი? საუცხოვოთ ჩანს ამაღამ, სამაგალითოთ კაშკაშებს.

სვიმონი. რას ჩამცივებიხარ, ჩემო ძმაო, რამდენიც უნდა იმდენი იკაშკაშოს!

ზაქარია (თავს გააქნევს). ჩვენი თაობა სულ დამახინჯებულია, ესტეტიურ გრძნობას ყველა მოკლებულია. არა, სწავლის სისტემა სრულებით უნდა შეიცვალოს, ესტეტიკა ყველაფერს საფუძვლათ უნდა დაედვას. აი, ლევანი ჩამოვა თუ არა, მე და იმან უსათუოთ ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა უნდა დავსწეროთ, თუ რამდენათ გამახინჯებთ თქვენ ყველას ის გარემოება, რომ ესტეტიურ განათლებას და განვითარებას მოკლებული ხართ. უსათუოთ უნდა დავსწეროთ, უსათუოთ (გადის).

სვიმონი. მართლა, ლევანს არ ელით?

მაკრინე. დღე დღეზე ველით, როგორ არ ველით? იმ კაცს აღარ შეუძლია, ამოდენა საქმე კისერზე აწევს და ცოტა ხნისაც აღარ არის. აწი დროა, რომ ჩვენ მოხუცებულებმა დავისვენოთ და შვილებმა კი იმუშაონ.

სვიმონი. ვინ ატანს ძალას, დაისვენოს ხოლმე!

მაკრინე. რითი დაისვენოს, შვილო? შენა გგონია ხარჯი ცოტაა? მთელი ჩვენი შემოსავალი სულ საქველმოქმედო საქმეს უნდება, თვალი ყველას დაუდგა, ეს ღარიბი სტუდენტი ვარო, ეს ღარიბი უჩენიკი ვარო, მაინც რამ გაამრავლა ასე ეს ღარიბი სტუდენტები! თუ არაფერი აქვთ ი მამაცხონებულებს, სახლში დაჯდენ, სხვის ხარჯზე კეთილი ცხოვრება განა მე კი არ მიამება? ახლა ვეჩერიო, რა ვიცი, ვინ ჩამოსთვლის; ორი დღე ისე არ გავა, რომ ხუთი-ექვსი მანეთი ჯიბიდან არ ამოვარდეს.

სვიმონი. ეჰ, მამიდა ჩემო, ხუთი მანეთი თქვენთვის ფულია?

მაკრინე. ეერიჰაა! ხუთი მანეთი კი არა კაპეიკია ფულა, კაპეიკი! მილიონს რომ კაპეიკი აკლდეს მილიონი აღარ არის. იცოდე, ვისაც კაპეიკი ფულათ არ მიაჩნია, ის ფულს ვერ იშოვის.

სვიმონი. კაპეიკი კი არა მე თუმანიც ფულათ არ მიმაჩნია, მარა იმით არაფერი მაკლია. თუ ჩემი საქმე ასე წავიდა, ორმოცი წლისა მეც მილიონერი ვიქნები.

მაკრინე. მამის დანატოვარზე ყველა კაი ბიჭია! აბა მამაშენს არ დაეტოვებია შენთვის და მაშინ ნახავდი, რავარი მილიონერი შეიქნებოდი.

სვიმონი. ეგ სულ ერთია, მამის დატოვებული იქნება თუ შენაძენი. ჩვენს დროში ისე ცხოვრება არ შეიძლება, რომ ცოტა რამ სხვასაც არ შეეწიო! სხვა რომ არა იყოს რა, როგორღაც თვალში კარგათ არ მოვდის, დაგზრახავენ.

მაკრინე. იმდენი მძრახონ, სანამ პირში სული არ ამოუვათ განა მე არ ვიცი, რომ ქვეყანა შურიანია და სიხარბით სავსეა?

სვიმონი. მამიდა ჩემო! ჩვენ ყველანი საძაგელ დროში ვცხოვრობთ; ხალხმა თავი აიშვა, ხელმწიფის და მთავრობის აღარავის ეშინია. ჩვენმა მუშებმა ლამის ხელის ჩამორთმევა და გვერდით დაჯდომა მოგვთხოვონ.

მაკრინე (პასიანსს აწყობს და თავაულებათ აწყვეტინებს). აი ისემც მიწა კი გაუსკდებათ, იმათ მე ხელი არ ჩამოვართვა! მაგისთანა დრო არასოდეს არ დადგება, რომ ყველა გასწორდეს, ყველა ტოლი იყოს (გააძიგინებს ტანში).

სვიმონი. გლახა დროში ვცხოვრობთ, მამიდა ჩემო, გლახა დროში!

მაკრინე. მე კი ნუ მოვესწრები იმ დღეს, რომ ჩემი მოსამსახურეები ხელს მართმევდენ, და მერე რაც მოხდება, საფლავში ხომ არ დამიწყებენ ხელის ტუნტურს?

სვიმონი. თუ მარჯვეთ არ ვიქნებით, ჩვენი საქმე ძალიან გლახათ არის. მთელი ქალაქის მუშები გაფიცვას აპირებენ!

მაკრინე. რისთვის უნდა გაიფიცონ?

სვიმონი. სამუშაო დღის შემოკლება უნდათ, ჯამაგირის მომატება და რა ვიცი კიდევ რა! ჩემს ქარხანაში მოვკარი ხოლმე ყური.

მაკრინე. რასაც იღებენ, იმის ღირსიც არ არიან. რაღაც თორმეტ საათს მუშაობენ და მერე სულ თავისუფალი არიან. ესეც რომ აღარ იმუშაონ, მაშ ჩვენ რიღათი ვიცხოვროთ? იმათსავით ნაგავში ხომ ვერ ჩავწვებით?! გაიფიცებიან და კისერიც უტეხიათ! თქვენც აიღეთ და გაყარეთ! უმადურს უმადურათ უნდა მოეპყრა!

სვიმონი. რამდენს ერთს გაყრი? ყველა გაიფიცება.

მაკრინე. რატომაც ვერ გაყრი? ხალხი ხომ არ გამწყდარა ქვეყანაზე? ვისაც ჩემ ფულს მივცემ, ყველა იმუშავებს! ვინც იმუშავებს, იმას დავიყენებ.

სვიმონი. საქმე იმაშია, რომ ვერ დაიყენებ.

მაკრინე (გაკვირვებული). რატომ ვერ დავიყენებ? ჩემი ფული ჩემია თუ სხვისი?

სვიმონი. რაკი გაიფიცებიან, სხვისი დაქირავების ნებასაც აღარ მოგცემენ.

მაკრინე. როგორ თუ არ მოგვცემენ? იმას ვკითხავ ნებართვას?

სვიმონი. არ ჰკითხავ და ბაც! დაგახლიან რევოლვერს და მოგკლავენ.

მაკრინე (შეხტება). ქა, როგორ თუ მომკლავენ! მაშ ყველაფერი მათი ნება ყოფილა, ბატონები ისინი ყოფილან და ჩვენ მათი მუშები!

სვიმონი. გეუბნები მამიდა ჩემო, გლახა დროში ვცხოვრობთ მეთქი (საათზე დაჩერებია), მე ახლა იმისთვის მოვედი, რომ გიორგისთან მომელაპარაკნა უნდა ვარჩიოთ რამე. ასე გაჩერება არ ვარგა. მე საქმე მაქვს. სხვებთანაც უნდა მოვილაპარაკო და ასე ერთი საათის შემდეგ შემოვივლი; უთხარი რომ მომიცადოს (გადის).

მაკრინე (პასიანსის შლას თავს ანებებს). ეს რა თქვა გენაცვალეთ! მოგკლავენო! (პირჯვარს იწერს) ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას. ვისთვის რა დაგვიშავებია? სიკეთის მეტი ვისთვის რა რა გვიქნია? თუ რამე შეგვიძენია, ჩვენის ოფლითა და შრომით შეგვიძენია. (ადგება) წავიდე ერთი ხატს სანთელი ავუნთო (მიდის). ერთი ისიც! ხანდახან იმისთანა რასმე წამოროშავს, რომ მხიარულ გულზე მდუღარეს გადაგასხამს. (გადის. სცენა რამოდენიმე ხანს ცარიელია. შემოდის გიორგი და შემოყვება ინჟინერი პავლე).

(გაგრძელება იქნება).

ივ. გომართელი.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

ახალი სამოსახლოები
იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საზურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საჟენამდეა, ფულის შეტანა თვე და თვე, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დაღმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაევის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

გამგენი: სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისააკ ბახტაძე
(10—ფ.—5)

გოგირდის აბანო

თ. სუმბათაშვილებისა (ვორონცოვის ქუჩა) რადგან დაიწყო მუსულმანთა მარხვა ორუჯა, აბანო გაღებული იქნება 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე, როგორც საქმის, ისე უქმე დღეებში ღამის 12 საათამდე.
(2—ფ—2)

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკისა სახლი № 1.